განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შეფასების თარიღ(ებ)ი: 06.10.2017

დასკვნის წარდგენის თარიღი: 8.01.2018

თბილისი
2017

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია, 0906 (ამ ფორმულირებით საკვალიფიკაციო ჩარჩოში კვალიფიკაცია არ არსებობს)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფ. ივანე აბიათარი, მედიცინის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფ. გიორგი ფიჩხაია მედიცინის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ხუბულავა სტუდენტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია“ ეს გახლავთ პირველი აკრედიტაცია. სწავლებასთან დაკავშირებული ყველა აქტივობა არის მოსამზადებელ ეტაპზე, შესაბამისად აქ წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება დოკუმენტაციას და უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების გამოცდილებას. პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ადაპტური ფიზიკური აღზრდის და რეაბილიტაციის საფუძვლები, შეზღუდული შეასაძლებლობის მქონე პირების ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები და მასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო ღონისძიებები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 4 წლიანი და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის კურიკულუმი მოიცავს სასწავლო კურსების ისეთ კატეგორიებს როგორიცაა: ზოგადი კურსების ბლოკი - (სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობის, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების და ანალიტიკური აზროვნების განმავითარებელი კურსები), ბიოლოგიური კურსების ბლოკი - (ადამიანის ორგანიზმის აგებულების და ზოგადბიოლოგიური კანონზომიერებების შემსწავლელი კურსები), საბაზისო კურსების ბლოკი - (ჯანმრთელი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის ორგანიზმის და ცალკეული ორგანოების ფუნქციონირების თავისებურებების შემსწავლელი კურსები), სპეციალიზაციის კურსების ბლოკი, სპორტული კურსების ბლოკი, არჩევითი საგნების ბლოკი და პრაქტიკა სპეციალობაში. ასევე პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან ექსპერტების მიმართ დამოკიდებულება იყო ძალიან მეგობრული და კოოპერაციული. ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი მზად იყვნენ წარმოედგინათ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია და ეპასუხათ კითხვებზე. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს ასევე გვქონდა შესაძლებლობა შევხვედროდით აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და დამსაქმებლებს. დაგვეთვალიერებინა ინფრასტრუქტურა, მათ შორის აუდიტორიები, ლაბორატორიები, სპორტული დარბაზები. უნივერსიტეტი ახდენს თავის მფლობელობაში არსებული შენობის მასშტაბურ რემონტს, რაც გააუმჯობესებს სტუდენტებისთვის სასწავლო გარემოს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა მიზნად ისახავს ადაპტური ფიზიკური აღზრდის და რეაბილიტაიის დარგის სპეციალისტების მომზადებას, თუმცა პროგრამით მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის სათაური (ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია) არ შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. პროგრამის მიზნები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სწავლისათვის აუცილებელი შედეგების მიღწევას, რადგანაც კონკრეტულადაა ორიენტირებული შშმ პირთა ადაპტურ აღზრდასა და რეაბილიტაციაზე; პროგრამით მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია“ არ შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ჩამოთვლილ რეაბილიტაციის ბაკალავრისათვის მისანიჭებელ კვალიფიკაციის ჩამონათვალს: კარდიოპულმონური რეაბილიტაცია, პედიატრიული რეაბილიტაცია, ტკივილის მედიცინა, ჰოსპისი და პალიატიური მედიცინა, სპორტული რეაბილიტაცია,

ფიზიკური თერაპია, კინეზოთერაპია, პოსტტრავმული რეაბილიტაცია, რაიტთერაპია, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიათა რეაბილიტაცია, ნეირორეაბილიტაცია, ველნეს თერაპია;

პროგრამაში წარმოდგენილი ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია. სასწავლო მასალის მოცულობიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე ყველა დისციპლინას ვერ ექნება ერთნაირი ხვედრითი წილი. რამდენიმე სასწავლო კურსში იდენტურია მიზნები და სწავლის შედეგები, შესაბამისად საჭიროებს საფუძვლიან შესწორებას. სასწავლო გეგმაში სასწავლო დისციპლინების წყობა არ არის თანამიმდევრული და საჭიროებს ოპტიმიზაციას. სასწავლო დისციპლინებში დარღვეულია წინაპირობები. აღნიშნული ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიანობას.

პროგრამის მიზნები მისი კომპონენტების შინაარსის, თანმიმდევრობის და კრედიტების განაწილების გათვალისწინებით არ არის მიღწევადი და ვერ იქნება ორიენტირებული ბაზარზე

პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე. პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული ინფორმაცია მითითებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, თუმცა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის პროგრამაზე ჩარიცხვის წესები და მიღების წინაპირობები არ არის მკაფიოდ განმარტებული.

სწავლის მეთოდები თანამედროვეა და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას. სტუდენტის შეფასების მეთოდები ადექვატურია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების სილაბუსებში შუალედურ და დასკვნით შეფასებებში არ არის გათვალისწინებული მინიმალური ზღვარი რაც არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან. ასევე დასაზუსტებელია და რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსაყვანია განმეორებითი გამოცდის დანიშვნის დრო.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულ სტუდენტებს სწავლის გრაფიკის დაგეგმვაში. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია ყოველკვირეული საკონსულტაციო სათების ჩატარება. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წახალისებულია სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობა. ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკა გაიარონ უცხოეთში.

აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო კონფერენციებში, აღნიშნული ხელშეწყობილია უნივერსიტეტის მიერ. უნივერსიტეტი ფლობს შესაბამის შენობა ნაგებობეს, საჭირო რესურსებით აღჭურვილ აუდიტორიებს. უნივერსიტეტს აქვს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის მკაფიო კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს აკადემიურ ხარისხს, პედაგოგიურ გამოცდილებას, გამოქვეყნებულ ნაშრომებს და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ხარისხის განვითარების ხელშეწყობას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მუშაობს დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, რეაგირება მოახდინე - პრინციპით. სამსახური ახდენს აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ანონიმურ გამოკითხვას. ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება.

- **რეკომენდაციები**

პროგრამით მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია“ მოსაყვანია შესაბამისობაში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და საქართველოს კანონმდებლობასთან.

პროგრამის მიზნები ორიენტირებულია შშმ პირთა ადაპტურ აღზრდასა და რეაბილიტაციაზე და მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სწავლისათვის აუცილებელი შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი და მიზნები საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას.

რეკომენდირებულია პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსების) მოცულობა არ იყოს ერთნაირი და კრედიტის (საათების) განაწილება მოხდეს კონკრეტული დისციპლინის სწავლის შედეგების და სასწავლო მასალის მოცულობის გათვალისწინებით.

რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პედაგოგების ტრენინგი სწავლის შედეგების ფორმირების და მიზნეთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართლებით.

რეკომენდირებულია ზოგიერთი საბაზისო საგნის, მაგ. ბიოქიმია პროგრამაში უფრო ადრეულ ეტაპზე ჩათვა.

რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამაში შეტანილი იქნას საგან „პათოლოგიის“ სწავლება.

რეკომენდირებულიასასწავლო კურსი „პროპედევტიკა“ შეიცვალოს „შინაგანი სნეულებანი“ სწავლებით.

რამდენიმე სასწავლო კურსში იდენტურია მიზნები და სწავლის შედეგები, შესაბამისად საჭიროებს საფუძვლიან შესწორებას.

რეკომენდირებულია ისეთი დისციპლინები, როგორიცაა დიეტოლოგია, ფიტნესი, არჩევითი მოდულიდან გადმოვიდეს სავალდებულო კურსებში.

ზოგიერთ სასწავლო კურსებში დარღვეულია დაშვების წინაპირობები და საჭიროებს გასწორებას

რეკომენდირებულია დაწესებულებამ ჩაატაროს ბაზრის კვლევა და დაადგინოს პროგრამის საჭიროება.

რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტი ყველა სავარაუდო დანახარჯის და რისკების გათვალისწინებით.

რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის და ხარისხის მონიტორინგის უფრო სრულყოფილი და მუდმივმოქმედი ინსტიტუციონალური მექანიზმი.

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს და ასახოს გამჭვირვალე და კონკრეტული მიღების წინაპირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის.

სასწავლო კურსების სილაბუსებში უნდა განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვარი კანონმდებლობის მიხედვით, ისევე როგორც რეგულაციებთან შესაბამისობაში განისაზღვროს განმეორებითი გამოცდის დანიშვნის დრო.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პრაქტიკის შეფასების მეთოდიკა დასახვეწია (მაგ. დღიურის წარმოების სპეციფიკა უმჯობესია შეიცვალოს შესრულებული სამუშაოს შეფასებით და არა აღწერით).

სასურველია კიდევ უფრო დაიხვეწოს პროგრამის და ხარისხის მონიტორინგის სისტემა და შეიქმნას უფრო სრულყოფილი და მუდმივმოქმედი ინსტიტუციონალური მექანიზმი.

სასურველია უნივერსიტეტმა იმუშაოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვის მიმართულებით (მაგ. ერასმუს +) როგორც სტუდენტური ასევე აკადემიური პერსონალის მობილობის გაძლიერებისთვის.

სასურველია მუდმივი მუშაობა წიგნადი ფონდების განახლებაზე და მსოფლიო საბიბლიოთეკო ფონდებთან წვდომის მოპოვებაზე.

მიზანშეწონილია ბიოლოგიური და ანატომიური კაბინეტების და რესურსების განვითარება და გათანამედროვება

სასურველია სილაბუსებში მითითებული იქნას დამხმარე რესურსები, მაგ. ინტერნეტ გვერდები, რიდერები თუ სხვა.

სასურველია ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს საუნივერიტეტო კვლევა და სამეცნიერო აქტივობა (მაგალითად შიდა მცირე გრანტების სისტემა). ასევე რეგულარული სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა.

პროგრამის განვითარების და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სასურველია მოხდეს პროგრამის გარე შეფასება და ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ზოგიერთი კურსი, მაგ. კორექციული ტანვარჯიში, აკვათერაპია, ძალიან საინტერესოა და იწვევს სტუდენტების დიდ დაინტერესებას.

უნივერსიტეტს აქვს აქტიური სტუდენტური გაცვლითი პროგრამა თურქეთის უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტი ფლობს კარგად აღჭურვილ სპორტულ ინფრასტრუქტურას

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის მიზანია: სტუდენტებს შეასწავლოს ადაპტური ფიზიკური აღზრდის და რეაბილიტაციის საფუძვლები, ის მოვლენები და კანონები, რომელიც საფუძვლად უდევს შეზღუდული შეასაძლებლობის მქონე პირების ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს; შეზღუდული შესაძლებლობის და ფიზიკურ განვითარებაში გადახრების მქონე პირების ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება; ტრავმების დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის სხვადასხვა მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა მისი ჯამრთელობის მდგომარეობის, მოძრაობის დარღვევის, სქესის, ასაკის, ნოზოლოგიის და გონებრივი განვითარების მიხედვით; ფიზიკური დატვირთებისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციის მეთოდები, ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ორგანიზმზე; რეაბილიტაციის და სპორტული ტრავმების პრევენცია, პირველადი დახმარების აღმოჩენა ტრავმების დროს, რეაბილიტაციის პროცესის მართვა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სპორტსმენების და არა მხოლოდ სპორტსმენების რაციონალური და ბალანსირებული კვების პრინციპები; პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ-ის მისიასთან, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სწავლისათვის აუცილებელი შედეგების მიღწევას, რადგანაც კონკრეტულადაა ორიენტირებული შშმ პირთა ადაპტურ აღზრდასა და რეაბილიტაციაზე; პროგრამით მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია“ არ შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ჩამოთვლილ რეაბილიტაციის ბაკალავრისათვის მისანიჭებელ კვალიფიკაციის ჩამონათვალს; ამასთანავე პროგრამის მიზნები მისი კომპონენტების შინაარსის (რამდენიმე კურსში ერთნაირია მიზნები და სწავლის შედეგები), თანმიმდევრობის (რამდენიმე კურსში დარღვეულია წინაპირობები, ზოგიერთი საგანი უმჯობესია ისწავლებოდეს ადრეულ ეტაპზე) და კრედიტების განაწილების (ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის მოცულობა ერთნაირია) გათვალისწინებით არ არის მიღწევადი და ვერ იქნება ორიენტირებული ბაზარზე. აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ სტუდენტები ვერ იქნებიან აღნიშნულ დარგში კონკურენტუნარიანები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამა

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის მისია

რეკომენდაციები:

- პროგრამით მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია“ მოსაყვანია შესაბამისობაში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და საქართველოს კანონმდებლობასთან.

- პროგრამის მიზნები ორიენტირებულია შშმ პირთა ადაპტურ აღზრდასა და რეაბილიტაციაზე და მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სწავლისათვის აუცილებელი შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი და მიზნები საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლოკურსი, მოდულიდასხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. პროგრამაში წარმოდგენილი ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია. სასწავლო მასალის მოცულობიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე ყველა დისციპლინას ვერ ექნება ერთნაირი ხვედრითი წილი, შესაბამისად კრედიტების (და საათების) ერთნაირი განაწილება სასწავლო კურსებში როგორც ძირითად ასევე არჩევით საგნებში არა რელევანტურია. კრედიტების ინდივიდუალური გადანაწილება უფრო რაციონალურს გახდის სასწავლო გეგმას.

რამდენიმე სასწავლო კურსში (მაგ. ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია -

1, 2 და 3) იდენტურია მიზნები და სწავლის შედეგები, შესაბამისად საჭიროებს საფუძვლიან შესწორებას.

მე-6 სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულია კურსი „კუნთების ბიოქიმია“, რომლის დიდი ნაწილი ეთმობა ზოგადი ბიოქიმიის საკითხებს. მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი ბიოქიმიის საკითხები ისწავლებოდეს პროგრამის უფრო ადრეულ ეტაპზე რათა ხელი შეუწყოს სტუდენტს ისეთი საგნების გაცნობიერებაში როგორიცაა მაგ. „კვება და დიეტოლოგია“ და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო გეგმა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსების) მოცულობა არ იყოს ერთნაირი და კრედიტის (საათების) განაწილება მოხდეს კონკრეტული დისციპლინის სწავლის შედეგების და სასწავლო მასალის მოცულობის გათვალისწინებით.
- რამდენიმე სასწავლო კურსში იდენტურია მიზნები და სწავლის შედეგები, შესაბამისად საჭიროებს საფუძვლიან შესწორებას.
- რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პედაგოგების ტრენინგი სწავლის შედეგების ფორმირების და მიზნეთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართლებით.
- რეკომენდირებულია ზოგიერთი საბაზისო საგნის, მაგ. ბიოქიმია პროგრამაში უფრო ადრეულ ეტაპზე ჩართვა.
- რეკომენდირებულია ისეთი დისციპლინები, როგორიცაა დიეტოლოგია, ფიტნესი, არჩევითი მოდულიდან გადმოვიდეს სავალდებულო კურსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

ზოგიერთი კურსი, მაგ. კორექციული ტანვარჯიში, აკვათერაპია, ძალიან საინტერესოა და იწვევს სტუდენტების დიდ დაინტერესებას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს რამდენიმე ბლოკს რომლებიც აერთიანებს შემდეგი ტიპის კურსებს: ზოგადი კურსები - (30 კრედიტი), ბიოლოგიური კურსები - (30 კრედიტი), საბაზისო კურსები (35 კრედიტი), სპეციალიზაციის კურსები (85 კრედიტი), სპორტული კურსები (10 კრედიტი), არჩევითი კურსები (30 კრედიტი), პრაქტიკა სპეციალობაში (10 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (20 კრედიტი). სასწავლო კურსების პროპორციული განაწილება მისაღებია, თუმცა სასწავლო გეგმაში სასწავლო დისციპლინების წყობა არ არის თანამიმდევრული და საჭიროებს ოპტიმიზაციას (მაგალითად საგანი „კუნთის ბიოქიმია“, რომელიც რეალურად წარმოადგენს ზოგადი ბიოქიმიის კურსს ისწავლება მე-6 სემესტრში სპეციალობის საგნებთან ერთად/მათ შემდეგ, პროგრამა არ ითვალისწინებს „პათოლოგიის“ სწავლებას, თუმცა მე-4 სემესტრში სასწავლო გეგმა მოიცავს ისეთ კლინიკურ დისციპლინებს როგორიცაა პედიატრია და ნევროლოგია, რომელთა შესწავლა პათოლოგიის საფუძვლების ცოდნის გარეშე არარეალურია). საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამის საფეხურს, თუმცა ზემოთ აღნიშნული საკითხები ეჭვქვეშ აყენებს პროგრამით დასახული როგორც მიზნების ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიანობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები: o რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამაში შეტანილი იქნას საგან „პათოლოგიის“ სწავლება. o რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „პროპედევტიკა“ შეიცვალოს „შინაგანი სნეულებანი“ სწავლებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o პროგრამის შემუშავების ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ არ ჩატარებულა შრომის ბაზრის კვლევა თუმცა დამსაქმებლებთან და დარგის სპეციალისტებთან საუბრისას მკაფიოდ აღინიშნა ადაპტურ ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემები და საჭიროებები ჩვენს ქვეყანაში. o ზემოთ აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა საეჭვოა და ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე მათ შორის შშმ პირთა ადაპტური აღზდის და რეაბილიტაციის კუთხით;
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ადგილზე ვიზიტი (ინტერვიუ პერსონალთან, დამსაქმებლებთან)
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია დაწესებულებამ ჩაატაროს ბაზრის კვლევა და დაადგინოს პროგრამის საჭიროება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიურიპერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია, შემუშავებულია ავტორთა ჯგუფის მიერ რომელთა შორის არიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცოდინება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით. ადგილზე ვიზიტისას დამსაქმებლებმა განაცხადეს, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში, კერძოდ მათ მიერ მოხდა შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რომელიც უკავშირდება ადაპტური ფიზიკური აღზრდის საჭიროებას და ინფორმაციის მიწოდება. მათი განცხადებით პროგრამის ავტორები გადიოდნენ კონსულტაციებს კონკრეტული უნარების განმავითარებელი პროგრამის კომპონენტების ჩართვასთან დაკავშირებით.
- სხვა პროგრამის სტუდენტებთან საუბრისას გამოვლინდა, რომ სემესტრში ერთხელ სტუდენტები ავსებენ სპეციალურ კითხვარებს. ამ მეთოდით ხდება სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებული უკუკავშირის მიღება. აკადემიურ პერსონალთან საუბრის შედეგად გამოვლინდა მათი მონაწილეობა პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი,
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა			X

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

2.1 პროგრამაზემიღებისწინაპირობებიგამჭვირვალეადაუზრუნველყოფსშესაბამისიცოდნის, უნარებისადაღირებულებებისმქონეპირთაპროგრამაშიჩართვას, რაცემსახურებასტუდენტისმიერსწავლისშედეგებისმიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი (საქართველოს მოქალაქე) რომელიც ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე. პროგრამა ითვალისწინებს მობილობით ჩარიცხვასთან დაკავშირებული ინფორმაცია მითითებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. o უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის პროგრამაზე ჩარიცხვის წესები და მიღების წინაპირობები არ არის მკაფიოდ განმარტებული პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o საგანმანათლებლო პროგრამა o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს და ასახოს გამჭვირვალე და კონკრეტული მიღების წინაპირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o სწავლის შედეგების მისაღწევად ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ისეთი მეთოდების და აქტივობების გამოყენებას როგორიცაა: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზენტაცია, ესე/რეფერატი, ჯგუფური მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა. სწავლის მეთოდები თანამედროვეა და მათი ერთობლიობა იძლევა შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჩამოთვლილი სწავლის მეთოდების გამოყენება აქტიურად ხდება აკადემიური პერსონალის მიერ სხვა პროგრამების ფარგლებში შესაბამისად აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში ისინი შეძლებენ ამ მეთოდების გამოყენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o სასწავლო პროგრამის სილაბუსები o ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაშიშემავალიკომპონენტებისთანმიმდევრობადაშემდგომკომპონენტზედაშვებისწინაპირობებილოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ქრონოლოგია არ არის თანმიმდევრული და ლოგიკური. მაგ. ბიოქიმიის კურსი გათვალისწინებულია მე-6 სემესტრში. უფრო ლოგიკური იქნებოდა ამ კურსის ადრეულ ეტაპზე შეთავაზება რაც ხელს შეუწყობს სპეციალიზაციის კურსების შესწავლას. დისციპლინებში დარღვეულია დაშვების წინაპირობები (მაგ. ბავშვთა დაავადების პროპედევტიკა, შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სასწავლო გეგმა o სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები: o ზოგიერთ სასწავლო კურსებში დარღვეულია დაშვების წინაპირობები და საჭიროებს გასწორებას
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდებისაგან მანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o შუალედურ და დასკვნით შეფასებებში არ არის გათვალისწინებული მინიმალური ზღვარი რაც შეუსაბამობაშია არსებულ კანონმდებლობასთან (მე-3 ბრძანება). ასევე

დასაზუსტებელია და რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსაყვანია განმეორებითი გამოცდის დანიშვნის დრო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები: სასწავლო კურსების სილაბუსებში უნდა განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვარი კანონმდებლობის მიხედვით, ისევე როგორც რეგულაციებთან შესაბამისობაში განისაზღვროს განმეორებითი გამოცდის დანიშვნის დრო.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პრაქტიკის შეფასების მეთოდიკა დასახვეწია (მაგ. დღიურის წარმოების სპეციფიკა უმჯობესია შეიცვალოს შესრულებული სამუშაოს შეფასებით და არა აღწერით).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზებისშესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o სასწავლო კურსების სილაბუსების განხილვისას სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც ასევე აღინიშნა სტუდენტებთან საუბრის დროს. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების ინფორმირებულობას კურსების საკონტაქტო საათების, გამოცდების, შეფასების ფორმების, მისი კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ. აღნიშნული საკითხები მოცემულია კურსების შეფასების სისტემაში, და მიწოდებულია უნივერსიტეტის ლექტორების მიერ სალექციო თუ საინფორმაციო შეხვედრების დროს. ინფორმაცია

ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სასწავლო კურსების სილაბუსები o ინტერვიუ სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა			X

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o ადგილზე ვიზიტისას და სტუდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა სტუდენტების და აკადემიური პერსონალის/ადმინისტრაციის აქტიური და კონსტრუქციული ურთიერთობა. სტუდენტებს აქვთ საშუალება უნივერსიტეტის პერსონალთან გაიარონ კონსულტაცია ნებისმიერ საკითხზე და როგორც წესი უნივერსიტეტი პასუხობს მათ მოთხოვნებს. უნივერსიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულ სტუდენტებს სწავლის გრაფიკის დაგეგმვაში. o სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სასწავლო პროგრამის კომპონენტების, სწავლის შედეგების, დაშვების წინაპირობების, შეფასების წესების შესახებ. ისევე როგორც პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო მონაცემებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ადგილზე ვიზიტი o ინტერვიუ სტუდენტებთან o ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია ყოველკვირეული საკონსულტაციო სათების ჩატარება ყოველკვირეული სააუდიტორიო დატვირთვის პარალელურად და იგივე მოცულობით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად ფაკულტეტის დეკანის მიერ ყოველი სემესტრის დასაწყისში საინფორმაციო დაფაზე გამოიკვრება ძირითადი საშტატო ერთეულის აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დღეები და საათები. იგივე ინფორმაცია გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. o უნივერსიტეტში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა ნახა საინფორმაციო დაფაზე გამოკრული სხვა საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია და საკონსულტაციო დღეები/საათები. o ასევე სტუდენტების ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს ლექტორებთან ინდივიდუალური კონსულტირების რეგულარული შესაძლებლობა. o კონსულტაცია სტუდენტებთან იმართება როგორც კონტაქტური ისე დისტანციური სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ადგილზე ვიზიტი o ინტერვიუ სტუდენტებთან o შრომითი ხელშეკრულებები აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წახალისებულია სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობა. ადგილზე ვიზიტისას და უნივერსიტეტის სტუდენტებთან და ლექტორებთან საუბრისას დადასტურდა სტუდენტების მონაწილეობა კვლევით პროექტებში და ნაშრომების წარმოდგენა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე, მათ შორის სხვა უნივერსიტეტების მიერ მოწყობილ სამეცნიერო ღონისძიებებში. უნივერსიტეტი რეგულარულად მართავს სტუდენტურ კონფერენციას სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ წარმოადგინონ საკუთარი კვლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუ სტუდენტებთან o ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თურქეთის უნივერსიტეტთან რომლის ფარგლებში ქართველ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკა გაიარონ უცხოეთში. სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა, რომ აღნიშნული პრაქტიკა ძალიან სასარგებლოა და უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკა ხორციელდება სტუდენტების თვითდაფინანსებით.
- ასევე ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო კონფერენციებში, ახდენს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული ხელშეწყობილია უნივერსიტეტის მიერ.
- უნივერსიტეტი არის მსოფლიოს ასოციაციის წევრი რომელშიც გაერთიანებული არიან სპორტის მიმართულების უნივერსიტეტები. აღნიშნული ასოციაცია რეგულარულად მართავს კონფერენციებს (მათ შორის სპორტული მედიცინის მიმართულებით), აღსანიშნავია, რომ მომდევნო წელს კონფერენციის მასპინძელი იქნება საქართველოს გიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი
- ინტერვიუ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია უნივერსიტეტმა იმუშაოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვის

მიმართულებით როგორც სტუდენტური ასევე აკადემიური პერსონალის მობილობის გაძლიერებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o აქტიური სტუდენტური გაცვლითი პროგრამა თურქეთის უნივერსიტეტთან.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X		

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლისშედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o უნივერსიტეტი ფლობს შესაბამის შენობა ნაგებობეს, საჭირო რესურსებით აღჭურვილ აუდიტორიებს, საკონფერენციო და სპორტულ დარბაზებს, ბიბლიოთეკას. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნანახი იქნა კომპიუტერული კლასები, ლაბორატორიები, ანატომიის შესასწავლი ოთახები, სატრენაჟორო დარბაზები. ნანახი იქნა სამედიცინო რეაბილიტაციისთვის საჭირო

აპარატურა. o უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკა რომელიც მოიცავს წიგნების საცავს და სამკითხველო დარბაზს. ბიბლიოთეკას აქვს ონლაინ წვდომა Bioone Press, Cambridge University Press და Duke University Press - საბიბლიოთეკო რესურსებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ადგილზე ვიზიტი o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მუდმივი მუშაობა წიგნადი ფონდების განახლებაზე და მსოფლიო საბიბლიოთეკო ფონდებთან წვდომის მოპოვებაზე. მიზანშეწონილია ბიოლოგიური და ანატომიური კაბინეტების და რესურსების განვითარება და გათანამედროვება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o უნივერსიტეტი ფლობს კარგად აღჭურვილ სპორტულ ინფრასტრუქტურას
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაცდგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამისად რგშიმის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალი სანმასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკულიგამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით შეფასდა მათი სამეცნიერო აქტივობა. ყოველ მათგანს წარმოდგენილი ქონდა ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხა. უნდა აღინიშნოს რომ გამოქვეყნებული შრომების უმრავლესობა მოდიოდა ქართულ სამეცნიერო გამოცემებზე. უნივერსიტეტს აქვს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის მკაფიო კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს აკადემიურ ხარისხს, პედაგოგიურ გამოცდილებას, გამოქვეყნებულ ნაშრომებს და სხვა. შესაბამისად პერსონალი ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას და პრაქტიკულ გამოცდილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები o ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o უნივერსიტეტში ვიზიტისას გამოვლინდა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებში, რაც გამოიხატება სათანადო სასწავლო და კვლევისთვის საჭირო პირობების შექმნაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ახორციელებს მასშტაბურ რემონტს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განახლება-მოდერნიზაციაც. დათვალიერებული იქნა რემონტის პროცესში მყოფი ახალი სააქტო დარბაზი და აუდიტორიები. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დიდ ძალისხმევას იჩენს სასწავლო პროცესში ჩართული სპორტული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენარჩუნების საქმეში. o სტუდენტებთან საუბრისას აღინიშნა ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობა მათი პრობლემების მოგვარების საკითხებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ადგილზე ვიზიტი o ინტერვიუ სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სასწავლო მასალა მოიცავს დარგის მიღწევებს და უზრუნველყოფს სასწავლო კურსით დასახული მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ლიტერატურით. არსებული რესურსი (წიგნადი ფონდი/საერთაშორისო საბიბლოთეკო ბაზები) ადექვატურია და საკმარისი სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სასწავლო კურსების სილაბუსები o ადგილზე ვიზიტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სილაბუსებში მითითებული იქნეს დამხმარე რესურსები, მაგ. ინტერნეტ გვერდები, რიდერები თუ სხვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობსპროგრამისფინანსურიუზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონლისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მოვლას. ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ წინა წლებში ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემების გამო შეფერხდა სამეცნიერო კვლევების დაფინანსება უნივერსიტეტში, თუმცა ამჟამად პრობლემა მოგვარებულია. o აუცილებელი გაწერილი იყოს ბიუჯეტი უშუალოდ კონკრეტულ პროგრამაზე რისკების გათვალისწინებით რაც უზრუნველყოფს მის მდგრადობას. ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს აკადემიური პერსოანლის ანაზღურების ხარჯებს, ინფრასტრუქტურის განახლების ხარჯებს, კვლევითი საქმიანობის ხარჯებს, ლიტერატურის განახლებისათვის საჭირო ხარჯებს, თითოეულ სტუდენტზე გაწეულ სხვა დანახარჯს (კომუნალური, საკანცელარიო თუ სხვა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან
რეკომენდაციები: o რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტი ყველა სავარაუდო დანახარჯის და რისკების გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს საუნივერიტეტო კვლევა და სამეცნიერო აქტივობა (მაგალითად შიდა მცირე გრანტების სისტემა). ასევე რეგულარული სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X		

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სწავლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მუშაობს დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, რეაგირება მოახდინე - პრინციპით. სამსახური ახდენს აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ანონიმურ გამოკითხვას. ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება. ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი იქნა კითხვარები რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა სტუდენტების, პერსონალის და დამსაქმებლების მიერ სასწავლო პროცესის, პროგრამების და სასწავლო კურსების შეფასება. o ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ ფაკულტეტის საბჭო იკრიბება ხშირად, (თითქმის თვეში ერთხელ) და იღებს პროგამის თუ სხვა ცვლილებებთან დაკავშირებულ საბოლოო გადაწყვეტილებებს. აღნიშნული სისტემა უფრო სპონტანურია ვიდრე ინსტიტუიონლური და უმჯობესია უფრო მოქნილი სისტემის

დანერგვა პრაქტიკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუ უნივერსიტეტის პერსონალთან
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის და ხარისხის მონიტორინგის უფრო სრულყოფილი და მუდმივმოქმედი ინსტიტუციონალური მექანიზმი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებული ასაგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o პროგრამის შიდა შეფასება და ანალიზი ჩატარებულია არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ჩატარებულია SWAT ანალიზი, რომელის შედეგად მოხდა შიდა გარემოს გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე და შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრა. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აპირებს ღონისძიებების ჩატარებას მათ შორის სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად.

o პროგრამის გარე შეფასება არ განხორციელებულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის განვითარების და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სასურველია ჩატარდეს პროგრამის გარე შეფასება და ანალიზი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია

დასკვნის გვერდების რაოდენობა:
33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა			X
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა			X
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X		
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X		
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება			X

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: